

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი
მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის
მოხსენებები, ტომი 35, 2009

ქართული რეზიუმეები

დოკუმენტი თეორიის მეორე სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა ტრანსპორტული იზოტონიკული სიბრტყისათვის მოშდირული ჰარიტული

ლ. ბიჭაძე

ნაშრომში განხილულია დრეკად ნარევთა თეორიის მეორე სასაზღვრო ამოცანა ტრანსპერაციული იზოტონიკული უსასრულო სიბრტყისათვის მრუდწირული ჭრილებით. პოტენციალთა მეთოდისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით დასმული ამოცანის ამოხსნა დაყვანილია ინტეგრალური განტოლების ამოხსნაზე, დამტკიცებულია ფრედპოლმის თეორემების სამართლიანობა მიღებული ინტეგრალური განტოლებისათვის.

მიზნობრივი უზრუნველყოფის საზღვრების პოპნის დისტანციური ინსტრუმენტი პონტიფიციური შევზობის მრთგანზომილებიანი ამოცანების კლასისათვის

გ. ფედულოვი, ხ. რუხაია, ლ. ტიბუა, ხ. გულუა, ნ. იაშვილი

გამოკვლეულია კომბინატორული კლასის 16 მოდელი რომლებიც სემანტიკურად ახლოს არიან კონტეინერებში შეფუთვის ერთგანზომილებიან ამოცანასთან. ყველა მოდელს გააჩნია დიდი პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა სფეროში.

სტატიაში აგებულია მიზნობრივი ფუნქციების სწრაფი საზღვრები, რომლებთანაც ხდება მიახლოებითი ამოხსნების შედარება. საზღვრების პოვნისათვის გამოყენებულია საწყისი რედუქციისა და შეფასების დერეფნის ბლოკები. შემოთავაზებული ალგორითმები შეიძლება გამოყენებული იქნეს დიდი განზომილების მქონე ამოცანებისათვის როგორც სხვა მიდგომების ალტერნატივა, როდესაც მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი.

ნაშრომში შემოთავაზებულია შეფასების მიდგომა, როგორც დისტანციური მობილური პროგრამული ინსტრუმენტის დასამუშავებლად C#2008, ASP.NET, 5 და SQL server 2005-ზე მასობრივი მომხმარებლისათვის მათი ინტერნეტში გამოსაყენებლად სპეციალური მათემატიკური ცოდნის გარეშე.

მდგრადი დრეკადი რხევების განტოლებათა ფუნდამენტური ამონახსნები

ზ. თელიაშვილი, ი. სიგუა

განიხილება დრეკადობის ანიზოტროპული თეორიის მდგრადი დრეკადი რხევების დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა. ფურიეს განზოგადებული გარდაქმნისა და ზღვრული ქრობის პრინციპის გამოყენებით ცხადი სახითაა აგებული ფუნდამენტურ ამონახსნთა მატრიცა, რომლის ელემენტების გამოსახულებებში შედის ზედაპირული ინტეგრალი ნახევარსფეროზე და მრუდწირული ინტეგრალი ამ ნახევარსფეროს საზღვარზე, ხოლო საინტეგრო ფუნქციები ჩაწერილია ცხადი სახით ელემენტარული ფუნქციების გამოყენებით, რომლებიც დაკავშირებულია სიმბოლურ მატრიცასთან.

დადგენილია ფუნდამენტურ ამონახსნთა ასიმპტოტიკა. ნაჩვენებია, რომ ფუნდამენტური ამონახსნები აკმაყოფილებენ განზოგადებული სახის ზომერფილდ-კუპრაძის ტიპის გამოსხივების პირობებს.

ორი ცვლადის ფუნქციის გლუვობა და ორმაბი ტრიბონომეტრიული მრავალები

ო. ძაგნიძე

რიმანის (1826-1866 წწ.) ფუნდამენტური შრომა “ფუნქციის წარმოდგენა ტრიგონომეტრიული მწკრივით” (1853 წ.) აღმოჩნდა რიმანის სახელთან დაკავშირებული საეტაპო მნიშვნელობის ერთ-ერთი გარღვევა ფუნქციათა თეორიაში. ამ შრომაში მან შემოიღო რიმანის ინტეგრალის ცნება, მწკრივის შეჯამებადობის რიმანის მეთოდი, ფუნქციის წერტილზე სიგლუვის ცნება და ამასთან დაკავშირებით მეორე რიგის სიმეტრიული წარმოებული, რაც ზოგჯერ არამართებულად იწოდება შვარცის წარმოებულად. რიმანის აზრით გლუვ ფუნქციებს მნიშვნელოვანი აღვილი უჭირავთ 6. ბარის, ა. ზიგმუნდის და ე. ედვარდსის ენციკლოპედიური ხასიათის წიგნებში.

წინამდებარე შრომაში შემოღებულია ორი ცვლადის ფუნქციის წერტილზე გლუვობის ცნება ორმაგ ტრიგონომეტრიულ მწკრივებში გამოყენებითურთ, რაც კარგად ესატყვისება ერთი ცვლადის გლუვი ფუნქციებისათვის ცნობილ თვისებებს. აქვე შემოღებულია ორი ცვლადის ფუნქციის მარჯვნიდან (მარცხნიდან) დიფერენცირებადობის ცნება.

შემთხვევითი ზედაპირების კომპლექსური ფირტილები

თ. ალიაშვილი

განხილულია კომპლექსური წერტილების ზოგიერთი თვისება ორგანზომილებიან ზედაპირებზე. დასაწყისში მიმოხილულია C^2 -ში გლუვ ზედაპირებზე კომპლექსური წერტილების ძირითადი თვისებები. მიღებულია შემთხვევითი ბრტყელი ენდომორფიზმებისათვის შესაძლო კომპლექსური წერტილების შეფასება.

ძლიერი დიფერენციალური ბაზისის ზოგიერთი შვებაზისის შესახებ

თ. ზერეკიძე

შესწავლილია ძლიერი დიფერენციალური ბაზისისა და მისი ზოგიერთი ქვებაზისის ექვივალენტობის საკითხი.

ორგენიანი ელიფსური ცილინდრის დაპაპულ-დეფორმირებული მდგრადართობის შესტაბლა

ნ. წომასურიძე, ნ. ზირაქაშვილი

სტატიაში ელიფსურ კოორდინატთა სისტემაში შესწავლილია ორფენიანი ელიფსური რგოლის დრეკადი წონასწორობა. ასეთი რგოლის ფოლადისა და ტექნიკური რეზინისგან შემდგარი ფენები სხვადასხვა სისქისა და ურთიერთ-განლაგებისაა.

**მრავალფენიანი გლანტი უკუმში სითხის სტაციონარული
ექსცენტრული დინება ცილინდრო-ბიკოლარულ საკონრდინატო
სისტემაში**

6. ხომასურიძე, ზ. სირაძე, პ. ნინიძე

ნაშრომში განიხილება ბლანტი უკუმში მრავალფენიანი სითხის ექსცენტ-
რული დინება წრიული განივალეთის მქონე ცილინდრულ მიღებში. ფენების
სისქე იცვლება წრიული კოორდინატის გასწვრივ. ამ დინების შესაბამისი ნავიე-
სტოქსის განტოლებათა სისტემის ამოხსნა ეფექტურად იგება სასრული
მწკრივების საშუალებით ყოველი ფენისათვის. მიღებული შედეგები გამოიყენება
წვრილ სადინარებში სისხლის მოძრაობის მათემატიკური მოდელირებისას.

**ერთი არაწრფივი სასაზღვრო ამოცანის შესახებ
ჰოლოგორიზული ფუნქციებისთვის**

6. ხატიაშვილი

შესწავლილია არაწრფივი სასაზღვრო ამოცანა ჰოლოგორიზული ფუნქცი-
ისთვის ბადის ტიპის არეში ელიფსოიდალური ჭრილებით. კონფორმულ ასახ-
ვათა და ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდის გამოყენებით მიღებულია
ეფექტური ამონახსნები. შესაბამისად მიღებულია დირიხლეს ამოცანის ეფექტური
ამონახსნები ლაპლასის განტოლებისთვის არეში, რომელიც წარმოადგენს
მართკუთხოვანი ტიპის ბადეს ელიფსოიდალური ჭრილებით. შედეგები შეიძლება
გამოყენებული იქნეს ჰიდროგაზოდინამიკის ღერძ-სიმეტრიული ამოცანების ამო-
ნსნისთვის, აგრეთვე მართკუთხოვანი ბადის სტრუქტურის ნანომოწყობილობაში
ნაწილაკების მოძრაობის აღწერისთვის.

**პვანძებისა და ხლართების სიმრავლეებთან GML_2 ბაზზობადებული
გობიუს-ლისტინგის ზედაპირების ზოგიერთი კავშირის შესახებ**

o. თავხელიძე, პ. კასიზა, პ.ე. რიჩი

კვანძების (Knots) და ხლართების (Links) კლასიფიკაცია კარგადაა
ცნობილი. წარმოდგენილ ნაშრომში განიხილება ისეთი კვანძები და ხლართები,
რომლებიც მებიუს-ლისტინგის განზოგადებული ზედაპირების საბაზისო წირის
კარალელური წირების “გაჭრისას” წარმოიშვებიან.

**პოზი-ლეგების ტიპის ინტებრალები განზოგადოებული
გელტრამის სისტემებისათვის**

გ. ახალაია, ნ. მანჯავიძე

განხილულია ბელტრამის განზოგადოებული სისტემები. შემოყვანილია ამ სისტემებისათვის განზოგადებული კოში-ლებეგის ტიპის ინტეგრალები და შესწავლილია მათი ზოგიერთი თვისება.

**განტოლებები რიგის გადაბგარებით და ელიფსური
განტოლებების ღერძისიმუტრიული ამონასნები**

გ. ჯაიანი

სტატია ეხება $p \geq 3$ ცვლადის შემთხვევაში მეორე რიგის ელიფსური ტიპის განტოლების ღერძისიმუტრიული ამონასნებისა და ორი ცვლადის გადაგვარებული კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების ამონასნების მიმართების საკითხს. ერთი გადაგვარებული კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებისთვის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის ცხადი სახით აგებული ამონასნების საშუალებით, ცხადი სახითაა ამონასნილი ზოგიერთი ამოცანა საზოგადოდ სინგულარულ კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებისთვის $p \geq 3$ ცვლადის შემთხვევაში.

**სამგანზომილებიანი ტრიგიზი გადახრილ არგუმენტიანი
დიფერენციალური განტოლებების ამონასნების ასიმპტოტური
ყოფაშენის შესახებ**

გ. გიორგაძე, რ. კოპლატაძე

განხილულია მესამე რიგის წრფივი გადახრილ არგუმენტიანი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემები. დადგენილია წესიერი ამონასნების რჩევადობის ახალი საკმარისი პირობები.

**არსებითად არაწრფივი ემდენ-ფაულერის ტიპის განხორბადებული
დიფერენციალური განტოლებები დაგვიანებით**

რ. კოპლატაძე

განიხილულია ემდენ-ფაულერის განხორბადებული მაღალი რიგის დაგვიანებულ არგუმენტიანი დიფერენციალური განტოლება. დადგენილია საკმარისი (აუცილებელი და საკმარისი) პირობები იმისა, რომ მოცემულ განტოლებას გააჩნდეს A ან B თვისება.

**არაწრფივი სხვაობიან განტოლებათა დადებითი ამონასსნების
არსებობის აუცილებელი პირობები**

რ. კოპლატაძე, ი. ნანობაშვილი

განიხილულია მეორე რიგის წინწასწრებულ არგუმენტიანი არაწრფივი სხვაობიანი განტოლება. დადგენილია დადებითი ამონასსნის არსებობის აუცილებელი პირობა. გარდა ამისა, მოყვანილია წესიერი ამონასსნის რჩევადობის საკმარისი პირობები.

**ოპტიმალური საჭყისი მონაცემების არსებობა და ფუნქციონალის
მიმართ კორესტულობა ერთი კლასის ოპტიმალური
ამოცანისთვის დაგვიანებით**

თ. თადუმაძე, ა. არსენაშვილი

სტატიაში მოყვანილია ოტიმალური საწყისი ფუნქციის და ვექტორის, ოპტიმალური საწყისი მომენტის და დაგვიანების (ოპტიმალური საწყისი მონაცემები) არსებობის თეორემები. გამოკვლეულია ინტეგრალური ფუნქციონალის მინიმუმის უწყვეტობის (ფუნქციონალის მიმართ კორექტულობის) საკითხი განტოლების მარჯვენა მხარის და ინტეგრანდის შეშფოთებების მიმართ.

**ოკუმანალურობის აუცილებელი პირობები კვაზიურივი
სისტემებისთვის არათანაზომადი ღაგიანებებით და შერჩული
შეზღუდვებით**

გ. ცინცაძე

ნაშრომში მოცემულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები სამართო პარამეტრების მიმართ წრფივი სისტემებისთვის ფაზურ და სამართ ცვლადებში არათანაზომადი დაგვიანებით და შერეული შეზღუდვებით. ფაზურ და სამართ ცვლადებზე შერეული შეზღუდვების და სისტემაში არათანაზომადი დაგვიანების ერთდროული გათვალისწინება მნიშვნელოვნად ართულებს ოპტიმალურობის აუცილებელი პირობების გამოყვანას. არსებითი სიახლეა ზემოთხსენებული ჭიპის სისტემებისთვის უწყვეტი საწყისი ფუნქციის შემთხვევაში ოპტიმალურობის აუცილებელი პირობების დადგენა.

გეოგრაფიულად და ფიზიკურად არამრგვის და არადამრგვის
გარსების მიახლოებითი ამონასწების აგების შესახებ

၈။ မောင်ကြံ

განხილულია გეომეტრიულად და ფიზიკურად არაწრფივი და არადამრეცი გარსეული ტიპის სამ-განზომილებიანი ღრეუადი სხეულები. ი. ვეგუას რედუქციის მეთოდის საფუძველზე, რომელიც შემუშავებული იყო წრფივი და დამრეცი გარსებისათვის, მიღებულია არაწრფივი და არადამრეცი გარსებისათვის ორგანზომილებიანი დიფერენციალური განტოლებათა უსასრულო სისტემა. მცირე პარამეტრის მეთოდით განტოლებათა სისტემა გაწრფივებულია და ნებისმიერი სასრული რიგის მიახლოებისათვის დაწერილია ზოგადი ამონსნის ვეკუა-ბიწაძის ტიპის კომპლექსური წარმოდგენა გარსის შუა ზედაპირის იზომეტრიული კორდინატების მიმართ.

პირობით დამოუკიდებელ შემთხვევით სიდიდეთა ჯამის განაწილების ნორმალური მიზანობების სიჩქარის შესახებ

ზ. ქვათაძე, თ. შერვაშიძე

ნაჩვენებია, როგორ დაიყვანება პირობით დამოუკიდებელ შემთხვევით ვექტორთა ჯამის ნორმალური მიზანობებისა და მისი სიჩქარის დადგენის ამოცანა დამოუკიდებელი ერთნაირად განაწილებული ვექტორების შემთხვევაზე. თუმცა მაკონტროლებელი მიმღევრობა, რომლის ფიქსაციის პირობით შესაკრები ვექტორები დამოუკიდებელი ხდება და აირჩევა პირობითი განაწილებათა ნომრები, განსხვავებით ავტორების ერთობლივი პუბლიკაციისა (1987) და პირველი ავტორის საკანდიდატო დისერტაციისაგან (1996), ზოგადი ერგოლული მიმღევრობაა, ეს დაყვანა უფრო თვალსაჩინო და მარტივია, ვინაიდან არჩევანი კეთდება ფიქსირებული განაწილების წრფივ არაგადგვარებულ გარდაქმნათა სასრულ რაოდენობას შორის.

0. ვეპუას მეთოდი გეოგეტრიულად არაწრფივი არადამრეცი ცილინდრული გარსისათვის

ბ. გულუა

ნაშრომში განხილულია გეომეტრიულად არაწრფივი არადამრეცი ცილინდრული გარსი. ი. ვეპუას მეთოდით მიღებულია ორგანზომილებიანი განტოლებათა სისტემა $N = 0$ მიზანობებისათვის. ამოხსნილია კონკრეტული ამოცანა კომპლექსური ცვლადის ფუნქციებისა და მცირე პარამეტრის მეთოდის გამოყენებით.

სტოქასტური ინტებრალური წარმოდგენა კუასონის მრავალგანზომილებიანი ფუნქციონალებისათვის

ო. ფურთუხია, ვ. ჯაოშვილი

შემოთავაზებულია ერთი მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა ცხადი სახით აიგოს კუასონის მრავალგანზომილებიანი ფუნქციონალების სტოქასტურ ინტეგრალურ წარმოდგენაში მონაწილე ინტეგრანდი. მიღებულია ამ ფუნქციონალების სტოქასტური წარმოებულის ჭვრეტადი პროექციების გამოსათვლელი ფორმულა.

**ვინაცხოვი პაზრები დარღვევებით. ოპტიმალური მარტინგალური
ზომები ტრინომიალურ სქემაში**

ო. ლლონტი, ლ. ჯამბურია, ზ. ხეჩინაშვილი

ნაშრომში განხილულია ტრინომიალური სქემა ორი დარღვევის შემთხვევითი მომენტით, რომელიც წარმოდგენილია როგორც აქციის ფასის ეკოლუციური მოდელი. მარტინგალური ზომების ერთ სპეციალურ კლასში ნაპოვნია მინიმალური ენტროპიის შესაბამისი მარტინგალური ზომა.

**ალბათური განაწილების სიმპოზიუმის "დელტა ფუნდის" ყონის
შემცველი როზენგლატ-კარზენის შეფასების ინტეზრალური
კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების საკითხი. შესაბამისი თანხმობის
კრიტერიუმისთვის შეფასებულია ზღვარითი სიმბლავრე.**

ე. ნადარაძე, პ. ბაბილუა, გ. სოხაძე

ალბთური განაწილების სიმპოზიუმის, როზენბლატ-კარზენის "დელტა ფუნქციის" მსგავსი წონიანი ტიპის შეფასებისათვის განხილულია ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების საკითხი. შესაბამისი თანხმობის კრიტერიუმისთვის შეფასებულია ზღვარითი სიმბლავრე.

**კირკოვის ორგანზომილებიანი განტოლებისათვის სასაზღვრო
ამოცანის ამოცსის მეთოდის სიზუსტის შესახებ**

კ. ფერაძე

შესწავლილია ამოცსის მეთოდის ცდომილება ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის, რომელიც აღწერს ორგანზომილებიანი სხეულის სტატიკურ მდგომარეობას.